„ყური დაუგდეთ, ასპინძის ადგილის დედა ჩურჩულობს...“ ლადო ასათიანი

ასპინძის სიახლენი

ასპინძის მუნიციპალიტეტი * სექტემბერი. 2022 * (5)82

სამხარეო ადმინისტრაციაში

უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვანი ღონისძიებები ტარდება რეგიონში მოსახლეობისთვის საჭირო მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების მიზნით. განსაკუთრებული ყურადღება კი საგზაო ინფრასტუქტურაზე, ქუჩებისა და ადმინისტრაციული ცენტრიდან სოფლად დამაკავშირებელი გზების, გარე განათებებისა და სხვა უმნიშვნელოვანესი პროექტების განხორციელებას ექცევა.

ფაქტია, რომ რეგიონს ტურიზმის განვითარების დიდი შესაძლებლობა გააჩნია, მისი განხორციელება კი დიდად შეუწყობს ხელს ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ექსკურსანტთა თუ უცხოელ ტურისტთა მოზიდვის საქმეს და რეგიონის კულტურული ძეგლების პოპულარიზაციას. ამიტომაცაა, რომ ადგილზე მიმდინარე ინფრასტუქტურული პროექტების დროულად და ხარისხიანად განხორციელების მიზნით მხარის ადმინისტრაციში პერიოდულად მიმდინარეობს რეგიონის მუნიციპალიტეტის მერებთან და შესაბამისი დარგის ხელმძღვანელებთან შეხვედრები.



ახლახან სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო რწმუნებულმა ბესიკ ამირანაშვილმა რეგიონის მუნიციპალიტეტის მერებთან და მათ მოადგილეებთან მორიგი საქმიანი შეხვედრა გამართა. სამუშაო შეხვედრაზე განიხილეს მხარის მასშტაბით დასრულებული, მიმდინარე და დაგეგმილი ინფრასტრუქტურული სამუშაოების მიმდინარეობის მდგომარეობა.

ძირითადი აქცენტი გაკეთდა 2022 წელს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსებული სამუშაოების შესრულებაზე, მათ შორის, საგზაო ინფრასტრუქტურის, წყალმომარაგების, საცხოვრებელი კორპუსების რეაბილიტაციაზე, ქალაქებში პარკებისა და სკვერების კეთილმოწყობაზე, აგრეთვე შეაჯამეს მუნიციპალიტეტში 2022 წელს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში ინფრასტრუქტურული სამუშაოების მიმდინარეობა. შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ სახელმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილე შალვა ბერძენიშვილი და სამხარეო ადმინისტრაციის სხვა წარმომადგენლები.

„პური მეპურემ უნდა გამოაცხოს!“

თითოეული ასპინძელისთვის კარგადაა ცნობილი თუ რა მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება მიმდინარეობს მუნიციპალიტეტის მასშტაბით. ყოველივე ამის შედეგად თვალშისაცემია ის ინფრასტრუქტურა, რაც ბოლო ათწლეულში გაკეთდა, თუმცა არსებობს რიგი შემაფერხებელი ფაქტორები, რის გამოც უკვე დაფინანსებული პროექტების შემდგომი განხორციელება მშენებელთა დაუდევარი დამოკიდებულების შედეგად, მოსახლეობაში ერთგვარი



განსჯა-კრიტიკის ობიექტი ხდება. სამწუხაროდ, დამკვეთის მხრიდან შეუძლებელია, არსებული კანონმდებლობით, სახელმწიფო ტენდერის გვერდის ავლითა და პირდაპირი ხელშეკრულებით სამშენებლო სამუშაოების წარმოება გამოცდილი, პრაქტიკაგავლილი, სამშენებლო კომპანიების მეშვეობით, რაც თავიდან აგვაცილებდა ბევრ უსიამოვნო ფაქტს და არც საზოგადოების კრიტიკის საგანი გახდებოდა. ასე მოხდა გასულ წელს გამოცხადებული ტენდერის შემთხვევაშიც, როცა ასპინძის კულტურისა და დასვენების პარკის სარეაბილიტაციოდ მილიონნახევარი გამოიყო და ტენდერში გამარჯვებულმა შპს „გია კონტრაქშენმა“ (დირექტორი ზაზა მუსელიანი), პროექტის განხორციელება გადაწყვიტა.

სამწუხაროდ, თავიდანვე ემჩნეოდა, რომ ობიექტზე დასაქმებული იყო არაკვალიფიციური მუშახელი, სამუშაოები მიმდინარეობდა დიდი ხარვეზებით და არაორგანიზებულად, რის გამოც დარღვეული იქნა საკონტრაქტო მოთხოვნები და მშენებლობა გათვალისწინებულ ვადებში კი არა, მიუხედავად მშენებლობის ვადების გაგრძელებისა, ვერც მომდევნო წელს დასრულდა. უფრო მეტიც, შესრულებული სამუშაოები ისე უხარისხოდ ჩატარდა, რომ იგი ხელმეორედ გასაკეთებელი გახდა. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მშენებლობის პროცესში, საქმისადმი უდიერად დამოკიდებულების გამო, პარკში დაზიანდა რამდენიმე ფოთლოვანი და წიწოვანი ხეც. ფაქტიურად წყალში გადაიყარა მათი შრომა!

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ვთხოვეთ მუნიციპალიტეტის მერს ბატონ ***როსტომ მაგრაქველიძეს*** *მკითხველს მიაწოდოს სრული ინფორმაცია ამ ობიექტზე შექმნილი მდგომარეობის თაობაზე:*

როსტომ მაგრაქველიძე – *ასპინძის მუნიციპალიტეტის მერი:*

დაბა ასპინძაში, მეფე თამარის, ერეკლე II-ის, რუსთაველის, ტაბიძის ქუჩების და მათი მიმდებარე ტერიტორიების, ცენტრალური პარკის ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელების თაობაზე ელ. ტენდერი (NAT210000002) 2021 წლის 01 იანვარს გამოცხადდა.

ტენდერში სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ყველაზე დაბალი ფასის დაფიქსირების შემდგომ, საქართველოს კანონის – ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, შესაბამისად, გაიმარჯვა ***შპს „გია კონსტრაქშენმა“*** (ს/ნ 400104409), დირექტორი ***ზაზა მუსელიანი.***

აღნიშნულ სამშენებლო კომპანიას ვალდებულება ჰქონდა სამუშაოები დაეწყო 2021 წლის 01 მარტს და დაესრულებინა 2021 წლის 01 დეკემბერისთვის, რაც ვერ შეძლო და დაეკისრა, ხელშეკრულების შესაბამისად, განსაზღვრული საჯარიმო სანქციები.

მშენებელმა სამუშაოების დასასრულებლად, წერილობით წარმოადგინა (ახალი გეგმა-გრაფიკით) თხოვნა, ვადის გაგრძელების თაობაზე და ვალდებულება აიღო პროექტის სრულყოფილად და ხარისხიანად შესრულებაზე. აღნიშნულის გამო ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისმა სამსახურმა, სატენდერო კომისიასთან ერთად იმსჯელა და, მუნიციპალიტეტის ინტერესებიდან გამომდინარე, გადაწყვიტა – კონტრაქტორს გაეგრძელებინა სამუშაოები და დასრულების ვადა განესაზღვრა 2022 წლის 24 ივლისამდე.

სამშენებლო კომპანიამ ვერც ამ დროში დაასრულა დაბა ასპინძაში მეფე თამარის, ერეკლე II-ის, რუსთაველის, ტაბიძის ქუჩების, მათი მიმდებარე ტერიტორიის და ცენტრალური პარკის რეაბილიტაციის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები“. ხელშეკრულების შესაბამისად, ყველა წესის და კანონის სრული დაცვით, შეუწყდა ხელშეკრულება შპს „გია კონსტრაქშენს“ და დამატებით საჯარიმო სანქციები დაეკისრა.

მშენებელთან ხელშეკრულების შეწყვეტის შემდგომ ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისმა სამსახურმა დამპ-

როექტებელთან ერთად მოკლე დროში მოახერხა და გადააფასა აღნიშნული სამუშაოები და მიმდინარე წლის 18 აგვისტოს დამატებით გამოაცხადა ახალი ელ. ტენდერი (NAT220016725) დარჩენილ სამუშაოებზე – ,,დაბა ასპინძაში მეფე თამარის, ერეკლე II-ის, რუსთაველის, ტაბიძის ქუჩების და მათი მიმდებარე ტერიტორიის რეაბილიტაციის დასასრულებლად.“

ესაუბრა ავთანდილ ბერიძე

P.S. ნათქვამია: „პური მეპურეს გამოაცხობინე და...“ ამიტომ მსგავსი ფაქტები თავიდან რომ იქნას აცილებული, ტენდერებში ისეთმა სამშენებლო კოპანიებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა, რომლებსაც შესწევთ უნარი დროულად და ხარისხიანად აწარმოონ პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები, ამასთან საჭიროა მშენებლობის მიმდინარეობაზე შესაბამისმა სამსახურებმა უფრო მეტი კონტროლი დააწესონ და დროული რეაგირება მოახდინონ.

მუნიციპალიტეტის საკრებულოში

გაიმართა ასპინძის მუნიციპლიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა.

საკრებულოს სხდომის ფარგლებში განიხილეს დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

1. ,,ასპინძის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ’’ ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 24 დეკემბრის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

2. ასპინძის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტის მოწონების თაობაზე;

3. ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიაში ავტომანქანის მძღოლის პოზიციისათვის, ერთი სახელშეკრულებო რესურსის დამატებით დაშვებაზე, ასპინძის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე;

4. ასპინძის მუნიციპალიტეტის 2022 წლის 6 თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შეფასების შესახებ;

5. ,,ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში წევრთა რაოდენობისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციათა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრის შესახებ“ ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 03 დეკემბრის № გ-121.121213379 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

დეპუტატებმა წარმოდგენილი საკითხები ერთხმად დაამტკიცეს, რის შემდეგაც საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ბერიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

მაკა ბერიძე

სამშობლოსათვის შეწირულთა უკვდავსაყოფად!

თოთხმეტი ცრემლიანი წელი გვაცილებს იმ დღიდან, რაც რუსეთ-საქართველოს ომმა აურაცხელი ნგრევა, ადამიანთა დიდი მსხვერპლი და ტერიტორიების დაკარგვა გამოწვია. დღესაც საგანგებო მდგომარეობაში უხდება ცხოვრება დაკარგული ტერიტორიების მიმდებარედ დარჩენილ ძირძველ ქართულ მოსახლდეობას. დღეს კიდევ ტრიალებს დენთის სუნი ჩვენს გარშემო და შუაგულ ევროპაში, – ცივილიზებული სამყაროს ცენტრში პუტინისტური რუსეთის ელიტის დაუსჯელი ქმედებების გამოისობით, ნახევარი წელია ცეცხლის ალშია გახვეული ჩვენი მეგობარი ქვეყნის – უკრაინის სოფლები და ქალაქები, იხოცება მშვიდობიანი მოსახლეობა – ბავშვები და ქალები, ნადგურდება ქვეყნის გენოფონდი და ევროპა საგანგებო მდგომარეობაში იმყოფება. უკრაინაში ომი თითოეულ ჩვენგანსაც ეხება, რადგან სწორედ ამ ომმა უნდა გადაწყვიტოს მსოფლიოს ბედი.

ალბათ არ იქნებოდა უკრაინის ომი, რომ არ ყოფილიყო 2008 წლის 8 აგვისტო. ცივილიზებულ სამყარის სწორედ მაშინ რომ საპასუხო პასუხი გაეცა რუსი აგრესორებისათვის და მეტი სერიოზულობით მოკიდებოდნენ პატარა ქვეყნის სუვერენული უფლებების დარღვევის და მისდამი ეგრერიგან ცინიკურ დამოკიდებულებას ოკუპანტების მხრიდან.

14 წელია, ყოველწლიურად მთელი საქართველო დიდ პატივს მიაგებს ომში დაღუპულ თანამემაულეების ნათელ ხსოვნას და მათი სახელის უკვდავსაყოფად აღმართულ ობელისკებთან, მემორიალურ კომპლექსებთან, ტაძრებსა და ეკლესია-მონასტრებში მათი სულის მოსახსენიებელი პანაშვიდები იმართება, დაღუპული გმირების საფლავებს ყვავილებითა და გვირგვინებით ამკობენ.

ასეა ასპინძის მუნიციპალიტეტშიც. 8 აგვისტოს ასპინძის მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ მაგრაქველიძემ, მერის მოადგილემ ლევან ბერიძემ, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ მერაბ ზურაბაშვილმა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ მირაშხანში, საქართველოს თავისუფლებისათვის დაღუპული გმირი ტარიელ ქამაშიძე გაიხსენეს და მისი სახელობის მემორიალი ყვავილებით შეამკეს.

მემორიალთან სოფელ მირაშხანის მოსახლეობა და ტარიელ ქამაშიძის ოჯახის წევრებიც იმყოფებოდნენ.

***

8 აგვისტოს, დაბა ასპინძის გართობისა და დასვენების პარკში ასპინძის მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ მაგრაქველიძემ ადგილობრივ თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა მემორიალი ყვავილებით შეამკეს

და ომში დაღუპულ გმირების ხსოვნას წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს.

გარდაცვლილთა სულების მოსახსენიებლად პანაშვიდი, ასპინძის ხვილიშის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მღვდელმსახურმა, მამა დავითმა გადაიხადა.

პანაშვიდის დასრულების შემდეგ ვაჟთა ფოლკლორულმა ანსამბლმა ,,წუნდამ" საგალობელი შეასრულა.

აღნიშნულ ღონისძიებაზე ასპინძის მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ მაგრაქველიძემ ერთჯერადი ფულადი დახმარება გადასცა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის და სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე ომში დაღუპულ 8 ოჯახს, ასევე ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისათვის და სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე მებრძოლი ომისა და სამხედრო ძალების შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე 9 ვეტერანს.

სოფელ ოთაში ინფრასტრუქტურა უმჯობესდება

იყო დრო, როდესაც სოფელ ოთაში, მიუხედავად მისი შესანიშნავი გარემო პირობებისა, გავლაც კი, უამინდობის ჟამს, შეუძლებელი იყო და როგორც საზოგადოებრივ ტრანსპორტს, ასევე სოფლის მოსახლეობას ძალზე უჭირდა გადაადგილება და სისტემატურ უკმაყოფილებასაც გამოთქვამდნენ. მიუხედავად იმისა რომ გასული საუკუნის 80-იან წლებში მაღალმთიანი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლებიდან მოხდა მოსახლეობის გეგმიური ჩამოსახლება და გათვალისწინებული იქნა სოფლის შიდა და ადმინისტრაციული ცენტრიდან სოფელთან დამაკავშირებელი გზის კეთილმოწყობა. სამწუხაროდ, სოფლისათვის არაფერი არ გაკეთებულა, უახლოეს წლებში კი ყინული დაიძრა და სოფელს თანამედროვე სოფლის სახე ეძლევა. სხვა მრავალ სიკეთესთან ერთად, გაკეთდა კეთილმოწყობილი გზა, კაპიტალური რემონტი უტარდება სოფლის საჯარო სკოლას. ახლახან კი ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით და ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამით" სოფელ ოთაში აქტიურად მიმდინარებს შიდა გზების საყრდენი კედლების მოწყობა.

სამუშაოებს აწარმოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია ი/მ ,,ლევან ივანიძე", რომლის სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 22 258 ლარს.

აღნიშნული პროექტი საერთო კრებაზე სოფლის მოსახლეობის ხმათა უმრავლესობით შეირჩა.

სოფელს ახალი შიდა საუბნო გზები ექნება

როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველებმა იციან, მუნიციპალიტეტის მასშტაბით არ დარჩენილა არცერთი სოფელი თუ დასახლებული პუნქტი, სადაც „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში არ მიმდინარეობდეს სხვადასხვა მიმართულებით ინფრასტრუქტურული სამუშაოები და, რაც მთავარია, ყველა ეს სამუშაო იგეგმება თვით ამ სოფლისა თუ დასახლებული პუნქტის მოსახლეობის უმრავლესობის გადაწყვეტილებით, რის გამოც ბევრ სოფელს უახლოეს წლებში შეემატა ახალი ობიექტები, კეთილმოწყობილი გზები და ა.შ.

ამჟამად მუნიციპალიტეტის სოფელ ივერიაში მიმდინარეობს ამავე პროგრამის ფარგლებში სოფლის შიდა საუბნო გზების (საფეხმავლო ბილიკების) სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელთა ხარისხიან შესრულებაზე სისტემატური კონტროლია დაწესებული დამკვეთის მხრიდან. სწორედ ამიტომ ახლახან მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოები ადგილზე დაათვალიერა ასპინძის მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ მაგრაქველიძემ მერიის სხვა თანამშრომლებთან ერთად.

სამუშაოებს აწარმოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია ინდ. მეწარმე ,,ლევან ივანიძე". სამშენებლო ობიექტის სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 23 198 ლარს.

აღნიშნული პროექტი, როგორც აღვნიშნეთ, საერთო კრებაზე, სოფლის მოსახლეობის ხმათა უმრავლესობით იქნა შერჩეული.

ასპინძაში მარცვლეულის აღება მიმდინარეობს

ასპინძის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტრადიციულად მარცვლეული კულტურების აღება იწყება ივლისის თვის მესამე დაკადიდან, რაც დღესაც წარმატებით მიმდინარეობს ზონების მიხედვით. ალოობა სოფ. რუსთავში იწყება და ნიალის ზონაში განთავსებულ მარცვლეულის ყანებით მთავრდება. დღეისათვის მოსავალი მთლიანად აღებულია რუსთავის, იდუმალის, ოშორის, დამალის, აწყვიტის, ორგორის, საყუდაბელისა და ასპინძის ყანები. ხოლო ძველის, ჭობარეთის, ხიზაბავრის, საროს, თოკის, ვარგავის და ნიალის ნათესების აღება მიმდინარეობს.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2021-2022 სამეურნეო წელს დაითესა 444 ჰექტარი ხორბალი, 412 ჰექტარი – ქერი, 91 ჰექტარი – შვრია, 9 ჰექტარი – ჭვავი.

ამ დროისათვის აღებულია 314 ჰექტარი ხორბალი, რომლის საშუალო საჰექტარო მოსავლიანობა შეადგენს 3,5 ტონას. სულ აღებული და დაბინავებულია 1098 ტონა ხორბალი, აგრეთვე 357 ჰექტარზე ქერი, რომლის საშუალო საჰექტარო მოსავლიანობა შეადგენს 2,6 ტონას. ამ ეტაპზე აღებული და დაბინავებულია 934 ტონა ქერი. ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსახლეობა ხშირ შემთხვევაში შვრიას იღებს როგორც საკვებ ბალახად პირუტყვისათვის, ხოლო ნაწილს – მარცვლად. ამჟამად 60 ჰექტარზე აღებულია როგორც პირუტყვის საკვები, 20 ჰექტარზე კი – სამარცვლედ, საშუალო საჰექტარო მოსავლიანობა 2 ტონას შეადგენს. რაც შეეხება ჭვავს, იგი 9 ჰექტარზე პირველად იქნა დათესილი, ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ, ნიალაში. მოსავალს ახლო მომავალში აიღებენ.

წელს მარცვლეული კულტურების მოსავლის აღება მიმდინარეობს ორგანიზებულად. მოსავლის აღებაში ჩართულია როგორც ასპინძის მუნიციპალიტეტში რიცხული, ასევე სხვა მუნიციპალიტეტიდან შემოყვანილი კერძო კომბაინები.

ოლღა ბერიძე ველიჯანაშვილი,
ასპინძის საინფორმაციო საკონსულტაციო ცენტრის
წამყვანი სპეციალისტი

თეატრალური ცხოვრება

ლეო ანთაძე ასპინძაში

საქართველოში თეატრისა და კინოს მოყვარულები კარგად იცნობენ საქართველოს სახალხო არტისტს ლეო ანთაძეს, ადამიანს, რომლის მთელი ცხოვრება მთლიანად დაკავშირებულია ქართულ თეატრთან და კინოსთან. ქართველი კინოს მოყვარულებმა პირველად ეკრანზე 1959 წელს ცნობილი ქართველი რეჟისორის შოთა მანაგაძის მიერ გადაღებულ მხატვრულ ფილმში „ყვავილი თოვლზე“ (კახაბერის როლში) იხილა და იმ დღიდან შეიყვარა იგი. ასპინძელებისათვის კი განსაკუთრებით სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ ბატონ ლეო ანთაძის ფესვები ასპინძასთანაა დაკავშირებული და ამიტომაცაა, რომ ადგილობრივი მაყურებელი ყოველთვის დიდი სიყვარულით ელის მასთან შეხვედრას, ისიც ყოველთვის, ასპინძელებთან ყველა შეხვედრაზე მზადაა ბოლომდე დაიხარჯოს და საყვარელ თაყვანისმცემლებს აჩვენოს თავისი მაღალი ხელოვნება.



ლეო ანთაძემ 1955 წელს დაამთავრა შოთა რუსთაველის სახელობის თბილისის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტი.

1955–1967 წლებში მოღვაწეობდა მარჯანიშვილის, 1967–1975 წლებში – რუსთავის თეატრებში. 1975 წლიდან კვლავ დაუბრუნდა მარჯანიშვილის თეატრს. მის მიერ შესრულებულ როლებს შორის აღსანიშნავია: ზურია – რეზო თაბუკაშვილის „რას იტყვის ხალხი„; შოთა არევაძე — კიტა ბუაჩიძის „მკაცრი ქალიშვილები„; ბუბნოვი — მაქსიმ გორკის „ფსკერზე„; ჩარლი — ტომას ბრანდონის „ჩარლის დეიდა„; ზურიკო — ნოდარ დუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ და სხვ. კინოროლებიდან: „ყვავილი თოვლზე“ (1959); „გაქცევა გამთენიისას“ (1975); „დათა თუთაშხია„ (1978); „მონანიება„ (1984); „ქუჩის დღეები“ (2010); „რენე მიდის ჰოლივუდში“ (2010) და სხვ.

ლეო ანთაძეს 1979 წელს მიენიჭა საქართველოს სახალხო არტისტის წოდება.

საყვარელ მსახიობს მიმდინარე წლის ნოემბერში 90 წელი უსრულდება. თავის საიუბილეო დღესთან დაკავშირებით მხცოვანი მსახიობი გასვლით წარმოდგენებს მართავს რესპუბლიკის სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში, ხოლო საიუბილეო დღეებში მარჯანიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო თეატრში მისდამი მიძღვნილი საიუბილეო საღამო გაიმართება.

ახლახან, 10 აგვისტოს კი, ასპინძის კულტურის ცენტრში საქართველოს სახალხო არტისტის ლეო ანთაძის შემოქმედებითი საღამო გაიმართა, რომელიც ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებითა და მხარდაჭერით ჩატარდა.

ღონისძიებაზე 90 წლის მსახიობმა მის მიერ განსახიერებული პერსონაჟები გააცოცხლა და მონოსპექტაკლი წარმოადგინა.

შემოქმედებით საღამოს ასპინძის მუნიციპალიტეტის მერი როსტომ მაგრაქველიძე, მერის მოადგილე ლევან ბერიძე, საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ბერიძე და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ავთანდილ მესხი

„ცოტნეობა“ ჯოხტას ციხეზე

ასპინძის სახელი საქართველოს ისტორიაში არაერთი მნიშვნელოვანი მოვლენითაა ცნობილი, მათ შორის დიდების შარავანდედითაა ჩაწერილი კოხტასთავის შეთქმულების უმნიშვნელოვანესი ფაქტი, რითაც სამარადჟამო პატრიოტიზმისა და გმირობის ფაქტად იქცა

იგი. ქართველი ერი ყოველთვის დიდ პატივს მიაგებს მის უკვდავ სახელს. ასპინძელებმა ამ რამდენიმე წლის წინ კი 12 აგვისტო ცოტნეობის სახალხო დღესასწაულად აქცია და ტრადიციული გახადა.

ასე იყო წლევანდელი ცოტნეობის დღესასწაულიც, რომელიც მუნიციპალიტეტის სოფელ დამალაში, კოხტას ციხის მიმ დებარე ტერიტორიაზე გაიმართა.

ასპინძის მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ მაგრაქველიძემ დამსწრე საზოგადოებას ,,ცოტნეობა" მიულოცა, ასპინძის ხვილიშის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მღვდელმსახურმა მამა დავითმა კი პარაკლისი აღავლინა.

პარაკლისის დასრულების შემდეგ კულტურის ცენტრის ვაჟთა ფოლკლორულმა ანსამბლმა ,,წუნდამ" საგალობელი შეასრულა.

„ცოტნეობის“ დღესასწაულისადმი მიძღვნილ ღონისძიებას მოსახლეობასთან ერთად ადგილობრივი ხელისუფლებისა და მუნიციპალიტეტში შემავალი ა(ა)იპ-ების თანამშრომლები ესწრებოდნენ.

წმინდა ცოტნე დადიანის ხსენების დღეს მართლმადიდებლური ეკლესია საქართელოში 1999 წლიდან აღნიშნავს.

ჰოგოჰ ვმახითოთ მყარი ნარჩენები

15 აგვისტოს პროექტის „ნარჩენების ეფექტური მართვა სუფთა გარემოსთვის“ ფარგლებში, ასპინძის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მეწარმეების, გენდერის საბჭოსა და საკრებულოს წარმომადგენელი ქალებისთვის გაიმართა ტრენინგი სახელწოდებით: „ნარჩენების მართვა - გამოწვევები და განვითარების პერსპექტივები."

ტრენინგს უძღვებოდა საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის დირექტორის მრჩეველი, დოქტორი ხათუნა ჩიკვილაძე, რომელმაც დეტალურად მიმოიხილა ის ძირითადი საკითხები, რომლებიც დამსწრე საზოგადოებისთვის მეტად აქტუალურ და სპეციფიკურ თემებს მოიცავს, ესენია:

– რა არის ნარჩენი;
– ნარჩენების ტიპები;
– ნარჩენების კლასიფიკაცია;
– ნარჩენების მართვის 2016-2030 წწ ეროვნული სტრატეგია;
– ნარჩენების მართვა – არსებული მდგომარეობა საქართველოში და ქვეყნის ფარგლებს გარეთ;
– როგორ შევამციროთ ნარჩენი;
– ჩვენ რით დავიწყოთ ნარჩენების შემცირება?
– და საითკენ მივდივართ?!

ტრენინგი მიმდინარეობდა ინტერაქტიული ფორმით, რომლის ფარგლებშიც გამოიკვეთა ნარჩენების მართვის კუთხით მუნიციპალურ თუ ეროვნულ დონეზე არსებული არა ერთი გამოწვევა. ასევე აღინიშნა ასპინძის მუნიციპალიტეტის უპირატესობები და შესაძლებლობები ნარჩენების სწორად მართვასთან დაკავშირებით.

პროექტი ხორციელდება „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის“ მხარდაჭერით, პროექტის „სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა: მდგრადი, ღია და ანგარიშვალდებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები საქართველოს განვითარებისთვის“ ფარგლებში. პროექტს აფინანსებს ევროკავშირი და კონრად ადენაუერის ფონდი.

რეპლიკა

ნუ დავტოვებთ უპატრონოდ პირუტყვს!

დღეს ცივილიზებული სამყარო უდიდესი გამოწვევების წინაშე დგას. მსოფლიოს მოსახლეობამ უკვე 8 მილიარდსაც მიაღწია. არიან ქვეყნები, სადაც კატასტროფულად მძიმე მდგომარეობაა მოსახლეობის საკვები პროდუქტებით მომარაგების კუთხით, მნიშვნელოვანი ნაწილი კი – შიმშილობს.

საქართველოს მოსახლების დინამიკას თუ გადავხედავთ, საქართველოში 1918 წელს გამოცხადებული დამოუკიდებლობის პერიოდში მოსახლეობა მილიონნახევარზე ცოტა მეტს თუ შეადგენდა, ხოლო დამოუკიდებლობის აღდგენის (1991) დროს იგი 5,5 მილიონს აჭარბებდა. ამჟამად, ჩვენდა სავალალოდ, 3,5 მილიონს ძლივს ვაღწევთ. ქართველმა კაცმა უკეთესი ცხოვრების ძიებაში ემიგრაციაში გადახვწა ამჯობინა და ბევრმა სამუდამოდაც მიატოვა მშობლიური კერა და სხვა ქვეყნის მოქალაქეობა არჩია სამშობლოში ცხოვრებას.

რატომ ხდება ასე და რამ განაპირობა ყოველივე ეს? ამჟამად მის გარჩევას არ შევუდგებით, თუმცა ერთი კი ცხადია, ყველას კარგი ცხოვრება უნდა. თუმცა ასეთი ცხოვრება თავისით არ მოდის – ხელის განძრევა და შრომაა საჭირო.

ასპინძა მაღალმთიან მუნიციპალიტეტს განეკუთვნება და კარგად ვიცით, რომ მოსახლეობის შემოსავლის ძირითადი წყარო სოფლის მეურნეობაა. გლეხის კარგი ცხოვრება მის მარჯვენაზეა დამოკიდებული და კარგ მეურნეს ცხოვრებაც აწყობილი აქვს.

სამწუხაროა ფაქტია, მიუხედავად იმისა, რომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე საგრძნობლადაა ფასები მომატებული და გლეხის პროდუქციას რეალიზაცია არ უჭირს, ჩვენდა საუბედუროდ, მინაზე დამოკიდებულმა ბევრმა ადამიანმა მინა-მარჩენალს ზურგი აქცია. უფრო მეტიც, კატასტროფულად დაეცა მეცხოველეობისა და მეფრინველეობის დონე. ბევრგან სანთლით საძებარი გახდა წვრილფეხა რქოსანი საქონელი, მოსახლეობის დიდი ნაწილი აღარ ინახავს ქათამ-ბატსაც კი და ისინი, ძირითადად, ბაზარზე დამოკიდებულები გახდნენ. ყოველივე ეს იმის ფონზე ხდება, როდესაც ქვეყანა ეკონომიკური პრობლემების წინაშე დგას და იმის ნაცვლად, რომ გავზარდოთ მისი წარმოება, პირიქით ვიქცევით, მინას მარჩენალს არაფრად ვაგდებთ, ზოგს ჩირადაც აღარ უღირს. იმ მინაზე ვამბობთ უარს, რომელზედაც ათასი ჯურის გადამთიელს თვალი უჭირავს. ცნობილი პოეტის სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენი ბედოვლათობით თუ არ ვუპატრონეთ, ხვალ, ზეგ, „...მოვა პატრონი, გადამთიელი და უპატრონებს.“ მერე კი გვიანი იქნება ტუჩზე კბენანი.

სამწუხარო ისიცაა, რომ გლეხის ლექსიკონიდან სრულიად ამოვართა „საზაფხულო საძოვრები“, მთაში კანტიკუნტად თუ დაჰყავთ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, აღარც მწყემსობა უნდათ და არც საქონელის შენახვა. ამის გამოა, რომ ბევრგან პირუტყვი ბედის ანბარადაა მიტოვებული. უპატრონოდ გაშვებული საქონელი დაბის ცენტრშიც მომრავლდა, მათ ხშირად ვხედავთ წრიულ მოძრაობასთან, დიდი ტვირთამწეობის ავტოტრანსპორტის ხშირი მოძრაობის დროს საავტომობილო გზებზე, რითაც მაქსიმალურადაა გაზრდილი ავტოსაგზაო შემთხვევების რისკები და შესაძლებელია ნებისმიერმა დაუდევრობამ იმსხვერპლოს უპატრონოდ გაშვებული პირუტყვი. მოსახლეობამ ისიც კარგად უნდა იცოდეს, რომ, ღმერთმა ნუ ჰქნას და მაინც ადგილო ჰქონდა მსგავს ფაქტს, შესაბამისად, პირუტყვის მეპატრონეც აგებს პასუხს, რისი მომსწრენიც არაერთხელ გავმხდარვართ!



ასე, რომ, ძვირფასო მეგობრებო, მივხედოთ თქვენს საკუთრებაში არსებულ პირუტყვს და ნუ დავტოვებთ მათ უპატრონოდ და ნუ დაიზარალებთ საკუთარ თავს!

ავთანდილ მესხი

მატიანე

ასპინძის საშუალო სკოლის ფეხბურთელთა გუნდი. 1966 წელი.
სურათი მოგვაწოდა მურად მელიქიძემ

ახალციხის რაიონული სასამართლოს წარმოებაშია

სამოქალაქო საქმის N6051336-2/682-22 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საქართველოს სასაზღვრო პოლიციის (შემდგომში – საქართველოს სასაზღვრო პოლიცია) განცხადებისა გამო, ქონების უპატრონოდ ცნობის თაობაზე.

უპატრონოდ საცნობი მოძრავი ნივთებია:

1.ცხენი – ულაყი, ფერი – რუხი, თეთრი ლაქებით, განმასხვავებელი ნიშნები – უკანა მარცხენა კიდურის ფლოქვი აქვს თეთრი, აგრეთვე ცხვირზე აღენიშნება მოთეთრო ნიკორი;

2.ცხენი – ულაყი, ფერი – თეთრი, განმასხვავებელი ნიშანი – უკანა მარცხენა კიდურზე აღენიშნება შავი ლაქა.

3. ცხენი – ულაყი, ფერი – თეთრი, განმასხვავებელი ნიშანი არ აქვს;

4. ცხენი – ფაშატი, ფერი – რუხი, განმასხვავებელი ნიშანი – არ აქვს მარჯვენა თვალი;

5.კვიცი – მდედრი, ფერი – მოწითალო, განმასხვავებელი ნიშანი – შუბლზე აქვს თეთრი ლაქა;

6. კვიცი – მამრი, ფერი – წითელი, განმასხვავებელი ნიშანი – არ აქვს;

7. ცხენი – ულაყი, ფერი – წითელი, განმასხვავებელი ნიშანი – აღენიშნება შუბლზე თეთრი ნიკორი;

8.კვიცი მდედრი, ფერი – წაბლისფერი, განმასხვავებელი ნიშანი არ აქვს.

იმ პირებმა, რომელთაც შეიძლება ჰქონდეთ პრეტენზია უპატრონოდ გამოსაცხადებელ ქონებაზე, უნდა განაცხადონ თავიანთი უფლებების შესახებ, პუბლიკაციის დღიდან 3 (სამი) თვის განმავლობაში, ახალციხის რაიონულ სასამართლოში,

მისამართზე: ქ.ახალციხე, მებაღიშვილის ქ. №60ა.

თუ დანიშნული ვადის გასვლამდე არ შემოვა განცხადება ქონებაზე უფლების შესახებ, სასამართლო განიხილავს საქმეს და გადაწყვეტილების გამოტანისას დაეყრდნობა მის მიერ გამოკითხულ იმ პირთა ჩვენებებს, რომელთაც შეუძლიათ ცნობების მიწოდება ქონების კუთვნილების შესახებ, აგრეთვე, შესაბამისი ორგანოებიდან გამოთხოვილ ცნობებს.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საქართველოს სასაზღვრო პოლიცია

უანგარო გაღებული სისხლი

18 აგვისტოს ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში შპს ,,სისხლის გადასხმის საქალაქო სადგურის (სისხლის ბანკის) მიერ „გაუზიარე სიცოცხლე, გაიღე სისხლის" ფარგლებში აქცია გაიმართა. უანგარო დონაციაში მონაწილეობა ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის, საკრებულოს, ადგილობრივი თვითმმართველობისა და ა(ა)იპ-ების თანამშრომლებმა მიიღეს. „სისხლის გადასხმის საქალაქო სამსახური" (სისხლის ბანკი) საქართველოში ერთ-ერთი წამყვანი სისხლის ბანკია, სადაც დონორული სისხლისგან სისხლის კომპონენტების დამზადება და კლინიკების მომარაგება წარმოებს. უანგარო დონაციაში მონაწილეობის მიზანია საჭირო სისხლისა და სისხლის კომპონენტების დეფიციტის შემცირება.

ინფორმაციები მოგვაწოდა ასპინძის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საორგანიზაციო განყოფილების უფროსმა ეკა კალაიჯიშვილმა

ფოლკლორი

***

იყო ერთი ღარიბი კაცი, რომელსაც ღმერთი არ უღიმოდა და იფიქრა: წავალ ღმერთთან და ვიკითხავ, რატომ ვარ ღარიბიო. წავიდა. ბევრი იარა თუ ცოტა, შემოხვდა მგელი. მგელმა ჰკითხა: სად მიდიხარო? ღარიბმა კაცმა უამბო თავისი ამბავი. მაშინ მგელი შეეხვეწა, – ჩემიც ჰკითხე, სულ მშიერი რადა ვარო.

ღარიბმა კაცმა გზა განაგრძო და შემოხვდა ერთი მზეთუნახავი. ჰკითხა, სად მიხვალო. ღარიბმა უამბო თავისი ამბავი. მაშინ მზეთუნახავი შეეხვეწა, – ჩემიც ჰკითხე, – არაფერი მაკლია და მაინც რაღაცა მაწუხებს და გამიგეო.

ღარიბმა კაცმა გზა განაგრძო და შემოხვდა ორი მუშა. ჰკითხეს, – სად მიხვალო. გლეხმა უთხრა თავისი ამბავი. მაშინ მუშები შეეხვეწნენ: ერთი ჩვენი ამბავიც გაიგე, – სულ ვმუშაობთ და ჯიბეში ფულის ხვავი რატომ არ გვაქვსო. ეგება გვიშველოს ღმერთმაო.

ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ღარიბმა გლეხმა, ბოლოს ღმერთს მიაგნო. და ღმერთმა ჰკითხა, – რაზედ შეწუხებულხარო. გლეხმა შესჩივლა, – ღარიბი ვარ და მიშველეო.

ღმერთმა უთხრა: შენ სიმდიდრე გზაში შეგხვდებაო. გლეხმა სხვებზეც ჰკითხა: ღმერთმა უთხრა: მგელს უთხარი, სულელი კაცი ნახე და შეჭამეო. მზეთუნახავს უთხარი, – ახალგაზრდა ბიჭი ნახე და აღარაფერი აღარ შეგაწუხებსო. მუშებს უთხარი, – იქ, სადაც მუშაობენ, ოქროა დამარხულიო.

წამოვიდა ეს ღარიბი კაცი და მივიდა მუშებთან. მუშებმა ჰკითხეს, – რა გითხრა ღმერთმაო? გლეხმა მოახსენა. მუშებმა უთხრეს: წამო, ძმურად გავიყოთ ოქროებიო. გლეხმა უთხრა: არაო! მე სიმდიდრე გზაში მელისო. და წამოვიდა. მივიდა მზეთუნახავთან. მზეთუნახავმა მასთან დარჩენა შესთავაზა, მაგრამ სულელმა გლეხმა ესეც იუარა: მე ჩემი ბედი გზაში მელისო. ბოლოს მგელთან მივიდა და ღვთის რჩევა გადასცა. მგელმა მოისმინა მისი თავგადასავალი და, რა შეიტყო, რომ ამ გლეხზე სულელ კაცს ვერ ნახავდა, იფიქრა, ალბათ, ეს არის ჩემი ნადავლიო და გადასანსლა.

მთქმელი მამია ზედგინიძე,
40 წლის, ასპინძის რაიონი,
სოფელი ზველი.
ჩაიწერა ნ.რევიშვილმა 1965 წელს.
თსუ ფა4091

სპორტი

წინ დიდი წარმატებები ელის მარიამს!

გაზეთ „ასპინძის სიახლენის" ფურცლებზე ჩვენს ერთგულ მკითხველ საზოგადოებას არაერთხელ მივაწოდეთ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ასპინძის სასპორტო სკოლაში მნიშვნელოვანი საწვრთნელო მუშაობა მიმდინარეობს ნორჩი სპორტსმენების მომზადებისა და მათი რესპუბლიკურ სპორტულ ღონისძიებებში ჩართვისათვის, რაზეც მათ მიერ მიღწეული დიდი წარმატებებიც მეტყველებს. ხოლო წინა ნომერში ვიუწყებოდით, რომ ასპინძის სპორტის ისტორიაში პირველად, განსაკუთრებით დიდ წარმატებას მიაღწია ასპინძის მკვიდრმა, მარიამ ფოცხვერაშვილმა, რომელმაც მოიპოვა საგზური მონაწილეობა მიეღო ევროპაში გამართულ ძიუდოისტთა ოლიმპიურ თამაშებში.

და აი ამ დღეებში სასიხარულო ამბავიც მივიღეთ:

მიმდინარე წლის 24-30 ივლისს, სლოვაკეთის ქალაქ ბანსკა ბისტრიცაში, ჩატარებულ ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიური თამაშებში, საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები გუნდის შემადგენლობაში იმყოფებოდა ასპინძელი მარიამ ფოცხვერაშვილი, რომელმაც იასპარეზა როგორც ინდივიდუალურ შეჯიბრებაში, ასევე გუნდურში. პირად შეხვედრაში, სამწუხაროდ, როგორი ინფორმაციაც მივიღეთ, მსაჯების არაობიექტურობის და მიკერძოების გამო, დამარცხდა უკრაინის წარმომადგენელთან, ხოლო გუნდურ შეჯიბრებაში – წარმატებით იასპარეზა და ოთხი შეხვედრიდან ორში წმინდა გამარჯვება მოიპოვა, რითაც საქართველოს ნაკრების გუნდური III ადგილის დაკავებისათვის დიდი წვლილი შეიტანა

აღნიშნულ შეჯიბრებაში წარმატებული გამოსვლის შემდგომ საქართველოს ძიუდოისთა ნაკრების მწვრთნელთა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, მარიამ ფოცხვერაშვილი ჩაერთოს ნაკრების ძირითადი გუნდის შემადგენლობაში, რომელიც იბრძოლებს პარიზის ოლიმპიური თამაშებისათვის ლიცენზიის მოსაპოვებლად. ეს კიდევ ერთი დიდი მიღწევაა ასპინძელი სპორტსმენისათვის და, ვიმედოვნებთ, რომ მომავალში მარიამი კიდევ არაერთხელ გაახარებს როგორც ასპინძელ, ასევე მთლიანად საქართველოს სპორტის გულშემატკივრებს.

აქვე უნდა იქვას, რომ ამ წარმატებაში განსაკუთრებით დიდი წვლილი მიუძღვის ცნობილ მოჭიდავეს და ამჟამად მის პირად მწვრთნელს, გოდერძი ველიჯანაშვილს, რომელმაც ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ასპინძაში სპორტის ეს სახეობა აღორძინებულიყო და თავისი დაუღალავი შრომით ასპინძა ძიუდოისტთა ყურადღების ცენტრში მოქცეულიყო.

პაატა ქავთარაძე

რედკოლეგიისაგან:

გაზეთ „ასპინძის სიახლენის" რედკოლეგია, თითოეული ასპინძელის სახელით, ვულოცავთ მარიამ ფოცხვერაშვილს წარმატებას. მისი თითოეული გამარჯვება ასპინძელების გამარჯვებას ნიშნავს. ახალგაზრდულ ოლიმპიადაზე მესამე გუნდური ადგილის დაკავება კი გზაა პირველობისათვის ბრძოლისა. ისიც გვაიმედებს, რომ იგი, როგორც აღინიშნა, საქართველოს ნაკრების ძირითად შემადგენლობაში ჩაირიცხა.

გვჯერა, მარიამ ფოცხვერაშვილი ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ თავდაუზოგავი შრომით კიდევ უფრო დახვეწს თავის სპორტულ მონაცემებს, დიდ სპორტულ კარიერასაც გაიკეთებს და თავის წვლილს შეიტანს ქართული სპორტის განვითარების საქმეში.

რედკოლეგია